

კორნელი კეკელიძე

## ანტონი კათოლიკობის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან

ჩვენს საეკლესიო მწერლობაში ანტონი კათოლიკობს დიდი დამსახურება მიუძღვის; ის სამართლიანად შეგვიძლია ჩავთვალოთ იმ პირთა ჯგუფში, რომელნიც პქმნიდენ ახალ ეპოქას დასახელებული მწერლობის ისტორიაში. ამ დიდებულებოვან ადამიანს ჩვენი საისტორიო კვლევა-ძიება არაერთხელ შეხებია, თუმცა ღვაწლი მისი ჯერ-ჯერობით საკმაოდ არ გაუშუქებია; განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მისი სალიტურგიკო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ სიბნელით არის მოცული.

ქართული სალიტურგიკო მწერლობის ისტორია შედგება სამი პერიოდისაგან. პირველ პერიოდში, როდესაც ჩვენი მწერლობის აკვნად პალესტინა ითვლებოდა,

ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა ექვემდებარებოდა სირია-პალესტინის საღვთისმასახურო ტრადიციებს. მაშასადამე, გასაკვირი არ არის, თუ ამ დროის საღვთისმასახურო წიგნებს "აღმოსავლური" ბეჭედი აზის. მას შემდეგ, რაც ქართული მწერლობის ლამპარი ანთო ათონის მწვერვალზე, მთაწმინდელმა მამებმა უკვლელად და უნაკლოდ გადმოიტანეს ქართულ ნიადაგზე ბიზანტიური ანუ "ბერძნული" საღვთისმასახურო ტრადიციები. ბიზანტიის დამხობის შემდეგ, როდესაც საქართველოს მფარველი და ხელმძღვანელი ჩრდილოეთის საქრისტიანოში ელანდება, საღვთისმასახურო იდეალსაც რუსეთის ეკლესიაში ეძებს ის. რუსეთისა და საქართველოს ეკლესიათა ლიტურგიკული გამოცნაურება და დაახლოვება, მეთუთხმეტე საუკუნეში დაწყებული, დასრულდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ საქმეში უპირველესი და უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ანტონი კათოლიკოსს; ამ უკანასკნელმა სწორედ ის მოინდომა, რაც მეთუთხმეტე საუკუნეში ათონელმა მამებმა ჩაიდინეს: როგორც ათონელებმა მოაცალეს ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკას "აღმოსავლური" ელფერი და ის გახადეს უკილობელ ასლად ბიზანტიის ეკლესიისა, ისე ანტონიმ მოინდომა მიეცა მისთვის, ბიზანტიურის ნაცვლად, რუსული ფიზიონომია.

ამ მიზნით მან, საქართველოში თუ რუსეთში ყოფნის დროს, გადაათვალიერა თითქმის ყველა საღვთისმასახურო წიგნი, შეაღარა რუსულს და იმათ ყალიბზე ჩამოასხა. ანტონიმ შეასწორა, მაგალითად, კონდაკი, პარაკლიტონი, ტიბიკონი, მღვდელთ-მთავრის კურთხევის წესი და სხ., მაგრამ ყველაზე მეტი შრომა მან დასდო საღვთისმასახუროს ანუ თუენის შესწორებაზე.

ჩვენ ამთავად ხელთა გვაქვს მის მიერ შესწორებული თუენის წინასიტყვაობა, რომელიც ვიპოვეთ გელათის მონასტრის საღვთისმასახუროში. ეს წიგნი ნაწერია მხედრულის ხელით დაახლოვებით მეცხრამეტე საუკუნის პირველს წლებში. ერთი მინაწერისაგან ჩანს, რომ ეს წიგნი თბილისში უყიდა მთავარეპისკოპოსმა ანტონი ჩიჭავაძემ: აი ეს მინაწერი: "ჩვენ ყ-დ სამღვდელთმან მთავარეპისკოპოსმან ჩიჭავაძემ ანტონიმ, მოვიყიდე საფასითა ჩემითა ს-დ საწელიწდო ესე ოთხენი, თვით თბილისის თბილელის მიხაილისაგან, სამას ოცდა თხუთმეტ მარჩილად, და ვინცა განიხილოთ ანუ წარიკითხოთ, ჩვენცა მოგვიხსენებდეთ, რა თქვენცა მოგიხსენოსთ უ-ნ". ანტონი ჩიჭავაძეს თავის მხრით ეს წიგნი მიუყიდა სხვისთვის; "ჩიჭავაძისაგან თხის თთვს თთვენი ესე ჩ-ის საკუთარის თეთრით ჩემთვის, ვინცა ხელთიგდოთ შენდობა ბრძანეთ ჩემთვის ღ-თისა თვს: იმერეთის თავადი გრიგოლ წერეთელი".

ამ თუენის წინასიტყვაობა საკმაო ნათელსა ჰყენს ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობას და ფსიქოლოგიურ მის განცდას; ის წარმოადგენს მრავალ მხრივ ინტერესს, როგორც საერტოლოგიო, საისტორიო, საპიზნოგრაფიო და, თუ გნებავთ, სამუსიკო საზუთის მხრივ, ამასთანავე თანამედროვე მნიშვნელობასაც არაა ის მოკლებული.

ჩვენში ამთავად არსებობს ე.წ. საეკლესიო წიგნთა "შემსწორებელი კომიტეტი", რომლის ვითარება "არასასურველმა და საეჭვო" მოქმედებამ, ზოგიერთ პირთა მეოხებით, დიდი განგაში ასტება ერთ დროს საზოგადოებაში (იხ. 1912 წლის "განათლებლის" N N 1,2 და "სახალხო გაზეთის" N 502). დაიწყო. მითქმა-მოთქმა, რომ ქართული საეკლესიო წიგნები ყოვლად უნაკლოა და მათ გასწორება არ ესაჭიროება, რადგანაც ის, რასაც კომიტეტი შეცდომას უწოდებს, ქართული ეკლესიის თავისებურების გამოშატველი და მაჩვენებელიაო.

ქართველები ყოველთვის ქართველები ყოფილან: ანტონი კათოლიკოში,

ჩომლის საეკლესიო-სამწერლო მოღვაწეობამ ყველაზე მეტად იგემა თანამედროვეთა, განსაკუთრებით სამღვდელთა პირთა, ინტრიგანობა, წინასწარ სჭვრეტს ამ დოკუმენტში - თუ როგორ მიეგებებიან მის ნაშრომს მისი "კეთილ-მოსურნენი და გულახდილად აშბობს: "ესე საზღუარ-ღებულება არს კაცთა ვიეთმე სამღვდელთათა თავ-ვედთა და ყოვლად უმეცართა ჩ-ნ შორის, რამეთუ ვისაცა იგი მეცნიერების მიმართად გამოაჩენენ თუ რადასამე ქარსა ბორბალსა აღადგენენ მას ზედა, და საჭესა ცხოვრებისასა განუტევენ, და მისცემენ ღელუათა წარტაცებად უფსკრულთაში". თუმცა ჩვენ, ქართველებს, აშბობს ის, ძველიდგანვე გვქონდა ყოველივე გადმოღებული "თვნიერ დაკლებისა", მაგრამ, ვინაიდან "მრავალნი გარყვნეს და უკმარ-იქმნეს პირად-პირადთა მიერ ვნებათა, ჭერ იყო განსწორებად და განმართუად წმიდისა ეკლესიისაებრ აღმოსავლისა, რათა არა ჩ-ნ ქართუქლნი ოდენ ამით სხუად-ფერად და სხუთა მედღესასწაულედ გამოვჰჩინდითმცა".

მართალია, ჩვენში ანტონის კულტურულ მოღვაწეობას და რუსეთის ეკლესიასთან მწიგნობრულ ურთიერთობას ზევრი პოლიტიკურ აგენტურად თვლიდა, მაგრამ ხომ ყველა ვერ გაითვალისწინებდა იმ უაღრეს სულისკვეთებას, რომელმაც უცხოეთში გადახვეწილ მამამთავარს ნაღვლიანად წარმოათქმევინა: "დალათუ მე არლა ქართუქლთა სამღვდელთათგან ქართუქლი, ვინათგან აღმოვივოცე, ენითაცა ოდენ აღმოვოცაე ჩემი ვინათგან შეუძლებელ იყო და ქართუქლივე მაქუნდა ენა, ენისათვის ჩემისა" თავს ვიდევ თუენისა ამის შესწორებაო. ასე რომ ვიფიქროთ, მაშინ ექვთიმე და გიორგი ათონელთა სამწერლო და საეკლესიო მოღვაწეობა და საბერძნეთთან კულტურული ურთიერთობაც ხომ პოლიტიკურ აგენტურად უნდა ჩავთვალოთ!!

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემდეგი სიტყვები ანტონი კათოლიკობისა: "მართალ არს და ცხად, ვითარმედ ქართულისა კიდე ენაე არა ვიცი<sup>1</sup> და ვერცალა მივსწუქთ ენასა სლავენურსა უმკუქთრეს, და ნუ უკუქ თქუას ვინმე, ვითარმედ თუ ვითარ გარდამოვიღე ესენი, მაგრამ უწყოდეს მან, ვითარმედ სლავენურისა თარგმანი მივანდეგ გაბრიილს ხუცესსა, თარგმანსა ჩემსა, რომელმან დალათუ არა უწყოდა ღრამმატიკა, არცა სლავენური და არცალა ქართული, არამედ ღრამმატიკოსნი მყუქს რუსნი კლირიკნი ეკლესიისა ჩემისანი, რომელთა ახლად დაესრულათ სკოლაე სინტაქსისა... და ოტეც გაბრიილ, პრეოდშჩიკი ჩემი, მეტყოდა რა ქართულად, ღიღითა გამოძიებითა თითოსა ლექსსაცა ვკითხვდი ღრამმატიკოსთა მათ რუსთა, თუ რომლისა სიტყვსა ნაწილი არს, და ეგრეთვე სიტყუასაცა უმკაცრეს, ვითარმედ სიტყუა ესე ვითარ შეთხზულ არს, და რაე არს ჰაზრი მისი, და მათ მიერ გულის ხმაუპყოფდი, თარგმანებითა გაბრიილისათა, და ესრეთ დავსდებდი სიტყუათა, და სიტყუათა შინა ლექსთა".

აქ საყურადღებოა ორი რამ: 1) ზემოდასახელებულ კომიტეტს უკიჟინებენ, რომ ქართული საეკლესიო წიგნების ტექსტი იმდენად უმწიკვლოა, რომ იმას არავითარი შესწორება არ სჭირიაო. ჩვენ ვიცით, რომ მეთვრამეტე საუკუნეში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საეკლესიო წიგნი, რომელიც სლავეური წიგნების მიხედვით არ შესწორებულიყო; ჩვენს ეკლესიებში ახლა ხმარებაშია სწორედ ეს, მეთვრამეტე საუკუნის, რედაქცია. აბა ერთი ზრძანეთ, როგორი ღირსების უნდა იყოს ის ნაშრომი, რომელიც შესრულებულია ზემოაღნიშნულ პირობებში? ერთი მხრით კათოლიკობი

<sup>1</sup> ანტონმა იცოდა სომხური, სპარსული და ღათინური ენა; მაშ ეს ადგილი ისე უნდა გავიგოთ, რომ მან, გარდა ქართულისა, არ იცოდა არც ერთი ის ენა, რომელზედაც დაწერილია მართლ-მადიდებელთა საღვთის-მსახური წიგნები, კერძოდ - ბერძნული ენა.

ანტონი, რომელმაც სლავურის არა იცის რა, მეორე მხრით - "რუსნი კლირიკნი", რომელთაც უფრო ნაკლებ გაეგებათ ქართული; მათ აერთებს "პრეოდშიკი ოტეც. გაბრიელ, რომელმა "არა უწყოდა ღრამატიკა, არცა სლავენური, და არცაღა ქართული". ნუთუ ვისმეს აზრად მოუვა, რომ ამგვარად შესწორებული წიგნი უმწიკვლო და უნაკლო იქნება? 2) კომიტეტის მოწინააღმდეგენი პირდაპირ ამბობენ, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენი წიგნები შერყვნეს იმ პირთ, რომელნიც ყოველმხრივ უვარგის სლავურ ტექსტს უდარებდნენ ქართულ დედანსო; თუ ეს ასეა, თუ დღეს ჩვენ ვხმარობთ მეთვრამეტე საუკუნის რედაქციას, რა საბუთით გაიძახიან, რომ დღევანდელ ჩვენს წიგნებს შესწორება არ სჭირიაო? მართალია, მეთვრამეტე საუკუნეში შეირყვნა ჩვენი საეკლესიო წიგნები, თუმცა არც წინა საუკუნეებში იყვნენ ისინი უკეთეს მდგომარეობაში, მაგრამ დანაშაული ამაში იმდენად სლავური ტექსტის სიღუბჭირეს არ მიუძღვის, რამდენადაც " ოტეც " გაბრიელისთანა პირებს, რომელთაც " არა უწყოდენ ღრამატიკა, არცა სლავენური, არცაღა ქართული ", მაგრამ, მოუხედავად ამისა, " პრეოდშიკობას " სწევდენ ასეთ დიად საქმეში.

ასეთია მნიშვნელობა დასახელებული დოკუმენტისა. საკვირველია, რომ ეს დოკუმენტი ჩვენს მწერლობაში დღემდე უცნობია; მიზეზი ამისა არის ის, რომ თვით ის ზუმბერაბი ნაშრომი, რომელსაც ის წინ მიუძღვის, ანტონი კათოლიკობის თუენი, ჭერ უცნობია და დაუბეჭდავი, თუმცა ქართული ეკლესია უძმისოდ საღვთისმსახურო პრაქტიკაში დიდს გასაჭირს განიცდის, რადგანაც იმის მაგიერობას ვერ სწევს ის "გამოკრებული სადღესასწაულო", რომელიც დღეს ხმარებაშია. მეთვრამეტე საუკუნის ქართველებს, რუსეთში გადახვეწილთ, სურვილი ჰქონდათ დაეხეტათ ეს შრომა, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა: სინოდმა საქირო ფული არ გამოიღო, თვით ქართველებს კი სახსარი არ ამოაჩნდათ ამ საქმისათვის, მათ შესძლეს დაეხეტათ მხოლოდ "სამი თვე" (ალექსი მესხიშვილისა), რომელიც ახლა ხიზლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ეს დოკუმენტი, რომელსაც ჩვენ ვხეჭდავთ უცვლელად, მხოლოდ ქარაგმების გახსნით, ბემოაღნიშნული გელათის ხელნაწერის გარდა, გვხვდება კიდევ მარტვილის მონასტრის წიგნთსაცავში, წერა-კითხვის საზოგადოების რამდენიმე ხელთნაწერში და საეკლესიო მუზეუმის მეთვრამეტე საუკუნის თუენში ( N 386; ფ.397-401 ); მხოლოდ ამ უკანასკნელში ეს შეადგენს აღნიშნული წიგნის ზოლოსიტყვაობას და არა შესავალს...

2 აღნიშნული წინასიტყვაობა იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები..., IV, თბ., 1957, გვ. 178-186